გეოგრაფიულ სახელთა წარმოების სწავლების რამდენიმე თავისებურების შესახებ ქართულში

თამარ მამარდაშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
e-mail: Tamar.mamardashvili@atsu.edu.ge
https://orcid.org/0009-0008-5502-2414
https://doi.org/10.52340/lac.2026.11.24

გეოგრაფიული სახელები ენის ლექსიკური სისტემის სპეციფიკური ფენაა. ისინი ასახავენ ისტორიულ, ეთნოკულტურულ, სოციალურ და ბუნებრივ გარემოსთან დაკავშირებულ გამოცდილებას და კვლევის თვალსაზრისით მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ როგორც ლინგვისტური, ისე ისტორიულ-ეთნოგრაფიული სფეროსთვის. ქართული ენა გამოირჩევა გეოგრაფიულ სახელთა მდიდარი და მრავალშრიანი სისტემით, რომელშიც თანაარსებობს როგორც წარმოქმნის გზით მიღებული სახელები, ისე კომპოზიტები, უცხო ენებიდან ნასესხები ფორმები, უძველესი ტოპონიმიკა. ეს უკანასკნელი ხასიათდება სტრუქტურულ-სემანტიკური მდგრადობითა და დიაქრონიული გამძლეობით: ისინი ხშირად ინარჩუნებენ არქაულ ფორმებსა და ფუძეებს, რომლებიც დღესდღეობით აქტიურ ლექსიკას არ მიეკუთვნება ან სახეცვლილია.

ამ ჯგუფის სახელები სემანტიკურად მრავალფეროვანია და, შესაძლოა, ასახელებდეს კონკრეტულ ადგილებს -კონტინენტებს, ქვეყნებს, ქალაქებს, სოფლებს, ოკეანეებს, ტბებს, მდინარეებს, მთებს და ა.შ., თუმცა ეს მხოლოდ დასახელებები არ არის. თითოეული მათგანი შესაძლოა შეიცავდეს ინფორმაციას კონკრეტულ ადგილზე, ისტორიაზე, მოსახლეობასა და ზოგჯერ იმ მოვლენებზეც, რომლებიც იქ მოხდა. გეოგრაფიულ სახელებს შესაძლოა საფუძვლად ედოთ ამა თუ იმ საგნის სახელი ან წარმომდგარი იყვნენ გვარისაგან, რომელიც იმ კონკრეტულ ადგილას სახლობს ან სახლებულა. მოიპოვება რიგი სახელებისა, რომელთაც საფუძვლად უდევთ ამა თუ იმ საგნის სახელი, სახელდობრ, მცენარის, ცხოველის, ფრინველის, მინერალის და ა.შ.

გეოგრაფიულ სახელთა ლექსიკა ყოველი ენისა და დიალექტის ლექსიკური ფონდის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია. საკითხის კვლევისას ყურადღება გამახვილებულ იქნა ძირითად აქცენტებზე, რაც გეორაფიულ სახელთა არა მხოლოდ წარმოების, არამედ სწავლების თვალსაზრისითაც აღმოჩნდა საყურადღებო. საანალიზო ტიპის სახელები ფუნქციურ-სემანტიკური ნიშნით შეიძლება დაიყოს რამდენიმე ძირითად ჯგუფად:

ჰიდრონიმები (წყლების, მდინარეების, ტბების და მისთ. სახელწოდებები);

ორონიმები (მთათა და რელიეფური ერთეულების სახელები);

ოიკონიმები (სოფელთა სახელები);

მიკროტოპონიმები (ლოკალური, მცირე ობიექტების სახელები).

თითოეულ ჯგუფში გვხვდება როგორც მარტივი, ისე წარმოებული და კომპოზიტური ფორმები.

გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებლად ქართულში სხვადასხვა საშუალება გამოიყენება. სპეციალურ ლიტერატურაში გარკვეულია ტოპონიმიკურ სახელთა წარმოების ძირითადი მოდელები.

გეორაფიულ სახელთა საწარმოებლად გამოყენებულია აფიქსები, რომლებიც სათანადო ფუნქციით გვხვდება წარმოქმნილ საზოგადო სახელებში. კერძოდ, წინა ვითარების ნა-არ, ნა-ურ, ნა-ევ აფიქსები: ნა-ტახტ-არ-ი, ნა-ვენახ-ევ-ი, ნა-ქალაქ-ევ-ი, ნა-დარბაზ-ევ-ი, ნა-ტახტ-არ-ი, ნა-საკირ-ალ-ი, ნა-ტბე-ურ-ი და სხვა [ორთ.ლექსიკონი:2009].

დანიშნულების სა-ე, სა-ო, სა-ის, სა-ურ აფიქსები (სა-ირმ-ე, სა-ვან-ე, სა-მშვილდ-ე, სა-კერპ-ო, სა-ბად-ურ-ი, სა-ცხენ-ის-ი...). ამგვარ სახელებს ,,ხშირად ფუძედ აქვთ ეროვნულ-ტომობრივი, საგვარეულო ან რომელიმე მფლობელის სახელი, საკუთარი თუ საზოგადო“ [შანიძე, 1973:137]: სა-ქართველ-ო, სა-მეგრელ-ო, სა-ჯავახ-ო, სა-ათაბაგ-ო, სა-ზან-ო, სა-ორბელ-ო, სა-ბარათიან-ო, სა-ციციან-ო, სა-გურამ-ო, სა-წულუკიძე-ო, სა-პაიჭა-ო, სა-გარეჯ-ო და სხვა [ორთ.ლექსიკონი].

აღსანიშნავია, რომ „სა-“ პრეფიქსი ტოპონიმურ სისტემაში ხშირად აღნიშნავს ტერიტორიულ კუთვნილებასა და სივრცის იდენტიფიკაციას, რაც განსაკუთრებით ნათლად ვლინდება რეგიონული სახელების ფორმირებაში.

ქონების სახელთა მაწარმოებელი -იან, -ოვან სუფიქსები: წიფლ-იან-ი, ფიჭვ-იან-ი, თელ-იან-ი, მუხ-იან-ი, ვაშლ-ოვან-ი, ჭალ-ოვან-ი და სხვა (იქვე).

ზოგი გეოგრაფიული სახელი ნაგენეტივარია: თბილისი, ქუთაისი, მანგლისი, შინდისი, ჯვარისა...

,,ყოველგვარი წარმოების საზოგადო სახელი შეიძლება მიეკუთვნოს რომელსამე დასახლებულ პუნქტს ან ფიზიკურ-გეოგრაფიულ ობიექტს და იქცეს საკუთრად“ [შანიძე, 1973:138].

საკუთრივ გეოგრაფიული სახელები მატწილად აფიქსაციის გზითაა მიღებული, კერძოდ -ეთ (-ით ვარიანტიც გვხვდება), სა-ეთ აფიქსებით.

-ეთ ყველაზე გავრცელებული მაწარმოებელია ამ ჯგუფის სახელებისა და უშუალოდ დაერთვის საზოგადო სახელთა ფუძეს (ტბ-ეთ-ი, თელ-ეთ-ი...). განსაკუთრებით აღსანიშნავია ტომობრივი და ეთნიკური სახელები, რომლებზეც -ეთ სუფიქსის დართვით მიიღება გეოგრაფიული სახელები. მაგ: სვან-ეთ-ი, მთიულ-ეთ-ი, აფხაზ-ეთ-ი, კოლხ-ეთ-ი, ხევსურ-ეთ-ი, თუშ-ეთ-ი, სპარს-ეთ-ი, ოს-ეთ-ი, ლეკ-ეთ-ი, არაბ-ეთ-ი, ესტონ-ეთ-ი და მისთ.

დასტურდება -ეთ სუფიქსის სახეცვლილი ვარიანტი -ით, ძირითადად სოფელთა დასახელებებში: ღვანკ-ით-ი, როკ-ით-ი, ხრე-ით-ი..

სა-ეთ კონფიქსით ნაწარმოები სახელები შედარებით ცოტაა: სა-ფრანგ-ეთ-ი, სა-ბერძნ-ეთ-ი, სა-სომხ-ეთ-ი..

გავრცელებულია მსაზღვრელ-საზღვრულით მიღებული კომპოზიტები, რომელთა მეორე ნაწილი ადგილის აღმნიშვნელი ან სხვა საზოგადო სახელია: ქალაქი, დაბა, სოფელი, უბანი, ციხე, წყარო, ყანა, ხევი ... პირველი ნაწილი კი მის მსაზღვრელს წარმოადგენს (ახალქალაქი, ახალდაბა, ახალსოფელი, უფლისციხე, ციხისძირი, ლამისყანა, ოქროყანა, კავთისხევი და სხვა). ზოგჯერ წყობა შებრუნებულია: გორმაღალი, ნინოწმინდა, ტაბახმელა, ჭალადიდი [ორთ.ლექსიკონი:2009].

მდინარეთა სახელწოდებებიც ხშირად კომპოზოტებია, რომლის მეორე ფუძეა ,,წყალი“: ხანისწყალი, ცხენისწყალი, აბაშისწყალი...

ამდენად, ერთცნებიანი კომპოზიტური ტოპონიმები ქართულში წარმოიქმნება როგორც ატრიბუტული მოდელით (თეთრიწყარო), ისე სუბსტანტიურით (ციხისძირი), კომპონენტად შესაძლოა იყოს რიცხვითი სახელი (სამგორი, სამტრედია).

ზოგჯერ გეოგრაფიული სახელები ტოლად-შერწყმული სახელითაა გადმოცემული და დეფისით იწერება: ფშავ-ხევსურეთი, ქართლ-კახეთი, რაჭა-ლეჩხუმი, გურია-სამეგრელო, სამცხე-საათაბაგო, ცივ-გომბორი, ერწო-თიანეთი...

გეოგრაფიული სახელების სწავლებისას მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია კომპლექსური მიდგომა საკითხისადმი, კერძოდ, სიტყვის სემანტიკური ანალიზი, ეტიმოლოგია, ასევე ისიც, სიტყვაწარმოების რომელი მოდელია გამოყენებული. მაგალითად, თბილისის (ძველად „ტფილისი“) სახელწოდების განხილვა სწავლების პროცესში იძლევა შესაძლებლობას, ერთდროულად გააზრებული იქნას სემანტიკური მოტივაცია (თბილი), ისტორიული ლეგენდა და სიტყვის ფორმის სახეცვლილების პროცესი, აქ გასათვალისწინებელია ერთდროულად ლექსიკოლოგიური და მორფოლოგიური ასპეტები. ანალოგიურად, ქუთაისი (ძველად ქუთათისი) - მსგავსი ფორმების ანალიზი საშუალებას იძლევა, განვიხილოთ არქაული ფუძეები და ფონეტიკურ-ისტორიული ცვლილებები.

ამდენად, გეოგრაფიულ სახელთა წარმოების სწავლება ქართულში მოითხოვს სისტემურ, თანმიმდევრულ და მრავალმხრივ მიდგომას და სწავლების პროცესში მიზანშეწონილია ტოპონიმური მასალის ინტერდისციპლინური გააზრება, ისტორიის, გეოგრაფიისა და ეთნოლოგიის მონაცემებთან კავშირში. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს ენობრივი ერთეულის მრავალმხრივ აღქმას და ხელს უწყობს კვლევითი უნარების განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: გეოგრაფიული სახელები, ტოპონიმები, აფიქსაცია, კომპოზიტი.

ლიტერატურა:

საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი, 2009

შანიძე, ა., თხზულებანი, ტომი III, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1980

Tamar Mamardashvili
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
tamar.mamardashvili@atsu.edu.ge
https://orcid.org/0009-0008-5502-2414
https://doi.org/10.52340/lac.2026.11.24

On Some Peculiarities of teaching the Formation of Geographical Names in Georgian

Abstract

Geographical names constitute a significant component of the lexical system of the Georgian language. They reflect historical, ethnocultural, social, and environmental experience and serve as an important source of evidence for linguistic, historical, and ethnographic research. Semantically, this group of names is diverse and can be classified into several major categories based on functional-semantic criteria.

The Georgian language is distinguished by a rich and multilayered system of geographical names and employs a variety of word-formation mechanisms in their creation. Alongside derived forms, the system includes compound structures, particularly attributive-determinative formations. Monoreferential compound toponyms in Georgian are formed according to both attributive and substantival models, and numeral elements may also function as structural components. Geographical names further include coordinative compounds, borrowings from foreign languages,

and elements of ancient toponymy. The latter is characterized by structural and semantic stability as well as diachronic resilience: such names often preserve archaic forms and stems that are no longer part of the active lexicon or have undergone formal transformation. Nevertheless, a substantial proportion of geographical names is formed through affixation, with the most productive patterns involving the suffixes -ეთ (-ით) and the circumfix სა-ეთ.

The names within this group are semantically diverse and may denote specific geographical entities - continents, countries, cities, villages, oceans, lakes, rivers, mountains, and other spatial units. However, they function not merely as designations. Each name may encode information about a particular locality, its historical development, its population, and, in certain cases, the events associated with it.

The present study addresses key issues that are significant not only from the perspective of word formation but also in terms of pedagogical application. The teaching of geographical name formation in Georgian requires a systematic, sequential, and research-oriented approach. Particular attention should be paid to semantic analysis, etymology, and the identification of the relevant word-formation model. Within the instructional process, toponymic material should be interpreted within an interdisciplinary framework, drawing on data from history, geography, and ethnology. Such an approach ensures a multidimensional understanding of linguistic units and contributes to the development of research skills.

Keywords: Geographical names, toponymy, functional-semantic criteria .